საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბუღდაშენი

ბუღდაშენი**,** ტბა ნინოწმინდის რ-ნის სამხრ.-აღმ. ნაწილში, ჯავახეთის ზეგანზე, მდ. ფარავნის აუზში, 2040 *მ* სიმაღლეზე. ზედაპირის ფართ. 0,39 *კმ* ^{2}, აუზის ფართ. 69,3 *კმ* ^{2}, მაქს. სიღრმე 0,85 *მ*, მოცულობა 165 ათ. *მ* ^{3}. საზრდოობს თოვლის, წვიმისა და მიწისქვეშა წყლით. მაქს. დონე გაზაფხულზეა, მინ. – შემოდგომაზე. ბ-იდან გამოედინება მდ. ბუღდაშენი (ფარავნის მარცხ. შენაკადი). ტბის მნიშვნელოვანი ნაწილი დაფარულია წყლის მცენარეულობით. ტბაში არის თევზი. ზაფხულობით ბევრია წყლის ფრინველი.

ი. აფხაზავა